

# ნაციონალურმა მოძრაობამ აღიარა,

## რომ ის პარტია აღარ არის

გაზეთი “ახალი თაობა” – 19 მაისი, № 136, 2008

ინტერვიუ დეპუტატ ლადო პაპავასთან

– ბატონო ლადო, როგორ შეაფასებდით წინასაარჩევნო პერიოდს და რაიმე ხარვეზს ხომ არ გამოკვეთდით თუნდაც ხელისუფლების წინასაარჩევნო კამპანიაში?

– წინასაარჩევნო პერიოდი ძირითადად ისევე მიმდინარეობს, როგორც ბოლო წლებში მიმდინარე წინასაარჩევნო კამპანიები. პარტიები ცდილობენ მოხიბლონ ამომრჩეველი სხადასხვა ხასიათის სოციალური დაპირებებით. ხშირად ისინი ამაში ერთმანეთს ეჯიბრებინ. ამავდროულად, ნამდვილად არ იგრძნობა, რომ დაპირებების უკან რაიმე სერიოზული ეკონომიკური გათვლები იყოს. აშკარაა, რომ ხელისუფლება, როგორც ყოველთვის, მაქსიმალურად იყენებს ადმინისტრაციულ რესურსს. ხოლო ცალკეული პარტიების აქტიურობა ხანდახან არც კი შეინიშნება. ჩემთვის განსაკუთრებით მოულოდნელია მრეწველების პასიურობა. ისინი ყოველთვის აქტიურობდნენ წინასაარჩევნო კამპანიისას. მოდით და ვთქვათ, თბილისში თუ გინახიათ მრეწველების პლაკატები ან რაიმე სააგიტაციო მასალა ქუჩაში გამოკიდებული? მე, პირადად, არ მინახია.

– რა არის ამის მიზეზი?

– არ ვიცი რა არის ამის მიზეზი. ამ დროს საკმაოდ მრავლადაა ნაციონალების, ლეიბორისტების და ალბათ კიდევ ქრისტიან-დემოკრატების საარჩევნო პლაკატები. სხვა დანარჩენების კი თითქმის არ არის.

– გოგი თოფაძემ თქვა, რომ მრეწველების მაჟორიტარებზე გარკვეული ზეწლაა.

– რადგანაც თქვა, ეს ასეც იქნება. შთაბეჭდილება მრჩება, რომ მრეწველები, რომლებიც საკმაოდ გამოცდილები არიან პოლიტიკაში და პარლამენტშიც კარგა ხანია არიან, დიდი აქტიურობით არ გამოირჩევიან. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ მრეწველები, როგორც ოპოზიციურ პარტია, არასდროს ყოფილა რადიკალურად ოპოზიციური. ის ოპოზიციურ ნიშაში ყოველთვის იჭერდა გარკვეულ შუალედურ სივრცეს ხელისუფლების საკრიტიკებლად, თუმცა ბოლომდე რადიკალურად და მწავედ მას არასოდეს დაპირისპირებია. არიან ისეთი პარტიები თუ ბლოკები, რომელთაც აქვთ გარკვეული ამბიციები, თუმცა ვეჭვობ, რომ ამომრჩეველთა ის რაოდენობა დააგროვონ, რომ ბარიერის გადალახვა შეძლონ, ან თუნდაც მაჟორიტარების გაყვანა მოახერხონ. აქვე იმასაც მინდა ხაზი გაესვას, რომ არც ნაციონალები გამოირჩევიან დიდი აქტიურობით. ჩვენ გვახსოვს არჩევნები, როდესაც ნაციონალები ძალიან აქტიურები იყვნენ. ეს 2003 წლის ნოემბრის არჩევნები იყო, რასაც რევოლუცია მოყვა. თუნდაც გასული საპრეზიდენტო არჩევნები ავიდოთ. შთაბეჭდილება მრჩება, რომ ახლა ისინი ისეთი აქტიურები არ არიან, როგორც საპრეზიდენტო არჩევნების დროს. ახლა ერთი წინასაარჩევნო ავტობუსი დადის, მაშინ კი ავტობუსების ჯოგი “დაქროდა”.

– საპრეზიდენტო არჩევნების დროს სხვა ვითარება იყო. მაშინ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხდებოდა კამპანიის დაფინანსება, ახლა როგორც ამბობენ, იმ ბიზნესმენების ფულები იხარჯება, რომლებიც აიძულეს მაჟორიტარებად ეყარათ კენჭი.

– ძნელია გამიჯნო სახელისუფლო რესურსი და ბიზნეს-რესურსი. მაშინაც პქონდათ ბიზნესმენებს „შეწერილი”, მაგრამ ახლა ერთი რამეც არის. სააკაშვილი ყველაზე მძიმე მომენტშიც კი საზოგადოებაში მაინც უფრო პოპულარული იყო და არის, ვიდრე ეს მისი პარტიაა. მე მგონი, ამაში ახლაც არავის არ ეპარება ეჭვი. თუნდაც ვარდების რევოლუციის შემდგომი საპარლამენტო არჩევნები რომ გავიხსენოთ, იქაც ნაცმოძრაობამ ხმების საკმაო რაოდენობა აიღო, თუმცა მიხეილ სააკაშვილმა მაინც უფრო მეტი მიიღო. სხვათა შორის, ასე იყო ყოველთვის. შევარდნაძეც უფრო მეტ ხმებს აგროვებდა, ვიდრე მოქალაქეთა კავშირი. საკაშვილის გაპრეზიდენტებისთვის

უფრო დიდი იყო ნაციონალური მოძრაობის აქტიურობა, ვიდრე დღესაა. თუმცა მაქსიმალურად არის გამოყენებული სახელისუფლო რესურსი. ხანდახან ეს კომიკურ სიტუაციამდეც არის მისული. ის, რომ ისანი, სამგორი ან მთაწმინდა ქალაქს დაემგვანოს, იქ გზები და განათება გაკეთდეს, ამისთვის თურმე საჭიროა, რომ ბიზნესმენი აირჩიონ. ამომრჩევლები ხელისუფლებას შეცდომაში შეყავს. ისინი უნდა ირჩევდნენ პოლიტიკურ მოღვაწეს, რომელმაც უნდა მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის კანონშემოქმედებაში და პოლიტიკური კურსის განსაზღვრაში და არა ქუჩების დაგებასა და კანალიზაციის გაყვანაში, ან „ხრუმწოდების“ ლიკვიდაციაში. დღეს ჩვენ განა თბილისის საკრებულოს ვირჩევთ, რომ ამ კრიტერიუმებით ხდებოდეს კანდიდატის არჩევა? მაგრამ ხალხი მოტყუებულია. ხალხი, როგორც წესი, მხოლოდ არჩევნების დროს ახსენდება თითქმის ყველა პოლიტიკურ ძალას, განსაკუთრებით კი ხელისუფლებას. ამომრჩეველი, კი ისევე ბრიყვულად (ბოდიშს ვიხდი ამ სიტყვისთვის) მოიქცევა, როგორც ყოველთვის, და მოტყუვდება იმაზე, რომ კარგი ქუჩა დაიგება, კანალიზაცია გაუმჯობესდება, ან განათება იქნება. რა შეუაშია პარლამენტი? რატომ არ კეთდებოდეს ეს აღცევნებამდე. იგივე ამომრჩეველი არ დაფიქრდება, რომ სწორედ ამ არჩევნების გამო უკეთებენ მათ ყველაფერს, რომ მისი ხმა უნდათ “იყიდონ” და არა იმიტომ, რომ მათზე ვიღაცა მუდმივად ზრუნავს. ყველგან, თბილისში იქნება ეს, თუ რაიონებში რაღაცა რომ გაკეთდება, აუცილებლად წარმოჩენილია ხელისუფლება და რა თქმა უნდა, ხელისუფლების მაჟორიტარი კანდიდატი. იბადება კითხვა: რა რესურსით გარემონტდა ეს გზები, რა რესურსით გაკეთდა განათება? ამაზე ლაპარაკი არ არის. საბოლოო ჯამში, ვერც ვერასდროს გავიგებთ სიმართლეს ისევე, როგორც ადრეც არ ვიცოდით, რა წყაროებიდან იხარჯებოდა არჩევნებზე ფული.

— რამდენად ექცევა პოლიტიკური პარტიების პროგრამებს დღეს ყურადღება?

— პოლიტიკური პროგრამების კულტურა ქვეყანაში საერთოდ არ არსებობს. დღესდღეობით მე მხოლოდ ერთი პარტიის პროგრამა ვნახე დოკუმენტის სახით გამოქვეყნებული. კერძოდ, რესპუბლიკელების

წინასაარჩევნო პროგრამა. სხვა პარტიის პროგრამა ფიზიკურად არ მინახია. არის ზეპირი განცხადებები, თუმცა რესპუბლიკელების პროგრამაც უნაკლო არ არის. რაც შეეხება სხვა პარტიებს, ალბათ პროგრამები არც აქვთ, მაგრამ არც არის საჭირო რომ ჰქნდეთ.

### **– რატომ არ არის საჭირო?**

– ამომრჩეველს არ სჭირდება პროგრამა. ამომრჩეველი ხმას არ აძლევს პროგრამას. არც არასდროს მიუცია საქართველოში ამომრჩეველს ხმა პროგრამისთვის. პარტიების მხრიდან ეს არის გარკვეულწილად ხარჯი საარჩევნო ტრადიციისადმი: მთელ მსოფლიოში მიღებულია, რომ პარტიას უნდა ჰქონდეს პროგრამა. ის პარტიები, რომლებიც ცდილობენ ჩვენ უცხოელ პარტნიორებს მოაწონონ თავი, ასეთ პროგრამებს აკეთებენ. ხოლო, ვისაც ეს არ აღელვებს, თავს არ იწუხებენ ასეთი პროგრამის გასაკეთებლად. ნაციონალურ მოძრაობას როგორც პარტიას თუ აქვს პროგრამა? ჩვენ მარტივად ვსვამთ კითხვას: გინახიათ სადმე? ზეპირი განცხადებები პროგრამა არ არის. იმავდროულად, პროგრამის მოთხოვნილება საზოგადოების მხრიდან არ არის. ვთქვათ, რომც უნდოდეს ოპოზიციურ პარტიას დაწეროს ეკონომიკური პროგრამა, დაწერს კი? ვერ დაწერს ძალიანაც რომ უნდოდეს. კვალიფიციურ ეკონომიკურ პროგრამას ვერც ერთი ოპოზიციური პარტია ვერ დაწერს. რაც მთავარია, ხელისუფლებაც ვერ დაწერს და იცით რატომ? კვალიფიციური პროგრამა რომ დაწერო, ამისთვის საჭიროა იცოდე, რა ხდება შენს ეკონომიკაში. იმისათვის, რომ იცოდე, რა ხდება შენს ეკონომიკაში, უნდა იცოდე სტატისტიკა. სტატისტიკა კი ქვეყანაში არ არსებობს. ის სტატისტიკური ინფორმაცია, რაც ქვეყნდება, ყალბია. აქედან გამომდინარე, ყალბი ინფორმაციიდან, რა პროგრამა უნდა დაიწეროს. ის, რომ პარტიები თავს არ იწუხებენ პროგამების დაწერით, ამასაც ახსნა აქვს, რომც მოინდომონ, მაინც ვერ დაწერენ.

### **– წინასაარღევნოდ შექმნილ პარტიებზე რას იტყვით?**

– არჩევნების წინ შეიქმნა რამოდენიმე პარტია. მათ შორის ერთ-ერთი, გიორგი თარგამაძის პარტია უცებ ძალიან პოპულარულიც გახდა. იბადება კითხვა: რატომ? რა პარტიული რესურსი და რა პარტიული გამოცდილება აქვთ

ასეთი? რატომ მოიპოვა ხალხში ასეთი ნდობა? კარგად გამიგეთ, მე წინააღმდეგი კი არა ვარ რომელიმე პარტიას მაღალი ნდობა ჰქონდეს. უველა ამომრჩეველს თავისი გემოვნება აქვს, ისევე როგორც მე. მაგრამ იბადება კითხვა, როგორ შეძლო პარტიამ რამდენიმე თვეში უცებ საკმაოდ მაღალი რეიტინგის მოპოვება. არავის გაუკვირდება, ეს პარტია ხვალ რომ პარლამენტში მოხვდეს. სხვა მაგალითად გამოდგება ქალთა პარტია. მე დიდ პატივს ვცემ ქალებს, მაგრამ გაუგებარია თავისთავად პარტია, რომელსაც დაერქვა ქალთა პარტია რა პოლიტიკური ორიენტაციისაა. გენდერული ბალანსი უნდა იყოს თითეულ პარტიაში. დანარჩენი პარტიები რა, უველა კაცთა პარტიაა? ერთხელ მოხდა კონფლიქტი ნაციონალურული მოძრაობის საპარლამენტო ფრაქციის ქალ ლიდერებსა და ოპოზიციური ფრაქციის მამაკაცებს შორის. როცა ოპოზიციური ფრაქციის მამაკაცებმა შეურაცხმყოფელი ფრაზებით შეამკეს სახელისუფლებო უმრავლესობის ქალბატონები, მაშინ უმრავლესობიდან ასეთი რეაქცია იყო, რომ როგორ შეიძლება ასეთი შეურაცხმყოფაო. საქმე ისაა, რომ როცა ქალი მოდის პოლიტიკაში და როცა დეპუტატი ხდება, იქ უკვე დავიწყებულია – ის ქალია თუ კაცია. ეს მეორე პლანზე გადადის, ის პირველ რიგში დეპუტატია. იმიტომ, რომ თუ ქალ დეპუტატს შეუძლია ყველაფერი აკადროს მამაკაც დეპუტატს და მხოლოდ იმიტომ უნდა იყოს დაცული, რომ ის ქალია და სიტყვა არ უნდა შეუბრუნდეს, დიდი ბოდიში, ეს არ არის სწორი. ის ქალი პარლამენტის გარეთაა, პარლამენტში ის პოლიტიკოსია...

- როგორ შეაფასებდით დღეს წარმოდგენილ სახელისფლებო სიას?
- ნაციონალურმა მოძრაობამ ამ სიის წარმოდგენით პრაქტიკულად აღიარა, რომ ის პარტია არ არის. პარტიაში, პირველ რიგში, პარტიული ლიდერები უნდა იყვნენ წარმოდგენილი. ის, როცა გიგა ბოკერია და მაია ნადირაძე ვერ ხვდებიან სიაში, მიუხედავად იმისა, ვის მოსწონს და ვის არა, ეს უკვე სიგნალია იმისა, რომ ეს პარტია პარტია არ არის. რა გამოვიდა: ის, ვინც პარტიის სახეს ქმნიდა, მათთვის ადგილი საარჩევნო სიაში არ მოიძებნა. სიაში გამოჩენდა ისეთი სახეები, რომლებიც შეიძლება ხვალ გახდნენ პარტიის ლიდერები, თუმცა დღეს საზოგადოებაში ისინი პარტიასთან აღქმულნი სულაც

არ არიან. აქ საუბარია ისეთ პიროვნებებზე, რომლებიც სიის ოცეულში მოხვდნენ და რომლებიც პოლიტიკასთან საერთოდ დაკავშირებული არც კი იყვნენ. მათ შორის ბევრი ისეთია, რომელთაც საკმაოდ კარგი ავტორიტეტი აქვს თავის წრეში. მაგრამ არ მგონია, ეს ავტორიტეტი აღმოჩნდეს დამხმარე იმ პოლიტიკაში, რა პოლიტიკაშიც ისინი ჩაერთვნენ. ის ხალხი, რომლებიც ამ პარტიას მოყვებიან ძველი დროიდან, მათი ყოფნა სიაში მე არ მაკვირვებს იმაზე მეტად, ვიდრე იმ ხალხის, რომლებიც განსაკუთრებით 7 ნოემბრის მერე შეუერთდა ამ პარტიულ სიას. მათ ამით გააკეთეს თავისი არჩევანი და საკუთარი ზნეობრივი პოზიცია დააფიქსირეს. სიაში ვხედავთ ისეთ კანდიდატებსაც, რომელბიც ჯერ დეპუტატები არ გამხდარან, მაგრამ უკვე არიან აგრესიულები, უკვე არიან საზოგადოებისთვის უარყოფითი სახეები.

### **შორენა კოწოწაშვილი**